საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1783 2020 წლის 15 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და ვაქცინების გლობალურ ალიანსს (GAVI ALLIANCE) შორის გასაფორმებელი შეთანხმების (COMMITMENT AGREEMENT) თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და ვაქცინების გლობალურ ალიანსს (GAVI ALLIANCE) შორის გასაფორმებელი შეთანხმება (COMMITMENT AGREEMENT).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის სახელით მიენიჭოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

3. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ფინანსური სახსრების მობილიზება, ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს მთავრობასა და ვაქცინების გლობალურ ალიანსს (GAVI ALLIANCE) შორის გასაფორმებელი შეთანხმებით (COMMITMENT AGREEMENT) გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

4. საქართველოს მთავრობასა და ვაქცინების გლობალურ ალიანსს (GAVI ALLIANCE) შორის გასაფორმებელი შეთანხმების (COMMITMENT AGREEMENT) ფარგლებში, შესყიდვების პროცედურები განხორციელდეს შეთანხმების პირობების შესაბამისად.

5. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებაში შესაბამისი პირობების დაზუსტება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან შეთანხმების მოქმედებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების კორექტირება გადაწყდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ვაქცინების გლობალურ ალიანსს (GAVI ALLIANCE) შორის შეთანხმებით, საქართველოს მთავრობასთან დამატებით შეთანხმების გარეშე.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყონ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**